მე-9 მოწვევის პარლამენტის კანონშემოქმედებითი საქმიანობის შეფასება მართლმსაჯულების სფეროში

შესავალი

ბოლო წლებში განხორციელებული არაერთი რეფორმის მიუხედავად, ქართულ მართლმსაჯულების სისტემაში დღემდე არაერთი ფუნდამენტური გამოწვევა არსებობს. სასამართლო სისტემაში მწვავედ დგას კლანური მმართველობის პრობლემა, რაც ინდივიდუალური მოსამართლეების დამოუკიდებლობის და ზოგადად მართლმსაჯულების ხარისხზე უკიდურესად უარყოფითად აისახება და იწვევს მთლიანად სასამართლო სისტემის პოლიტიზირებას. სამართალდამცავ ორგანოებში დღემდე გამოწვევას წარმოადგენს პოლიტიკური გავლენები უწყებების ყოველდღიურ საქმიანობაზე; ძალაუფლების კონცენტრაცია ამ უწყებების ხელმძღვანელობის ხელში; სათანადო ანგარიშვალდებულბის მექანიზმების არარსებობა. ასევე პრობლემაა კადრების კვალიფიკაცია როგორც სამართალდამცავ, ისე სასამართლო სისტემაში.

ინსტიტუციური პრობლემების მიღმა, პრობლემურია მართლმსაჯულების ხარისხი და შინაარსი. სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში დღემდე სახელმწიფოს არ გააჩნია მკაფიო პოლიტიკა, როგორი უნდა იყოს დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგია, რა პრინციპებსა და კონცეფციებს უნდა ემყარებოდეს ის. ხარვეზიანია სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაც, რომელიც მხოლოდ ფორმალურად აწესებს პროცესში მხარეთა თანასწორობასა და შეჯიბრებითობას, რეალურად კი მნიშვნელოვნად არის დარღვეული ბალანსი პროკურატურის/საგამოძიებო უწყების ინსტიტუციურ ძალაუფლებასა და ბრალდებულის ხელთ არსებულ სამართლებრივ ინსტრუმენტებს შორის. მოქალაქის ინსტუმენტალიზების, არაპროპორციულად მკაცრი სასჯელებისა და უსამართლობის მაგალითია არსებული ნარკოპოლიტიკა, რომლის ფუნდამენტურად შესაცვლელად კვლავაც ბევრი რამ არის გასაკეთებელი. ადამიანის უფლებების დაუსაბუთებლად და თვითნებურად შელახვის რისკებს შეიცავს სამართალდაცვითი საქმიანობის თითქმის ყველა ძირითადი მიმართულება, იქნება ეს პრევენციულ-საპოლიციო, ოპერატიულ-სამძებრო თუ საგამოძიებო მოქმედებები.

ცალკე პრობლემაა უკონტროლო ძალაუფლების მქონე სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, რომელიც არ ექვემდებარება ეფექტიან საპარლამენტო ანგარიშვალდებულებას და უწყებას აქვს ყველანაირი ბერკეტი, გავლენა მოახდინოს სოციალური ურთიერთობების ფაქტოვრივად ყველა სფეროზე, განსაკუთრებით კი პოლიტიკურ ვითარებაზე. უსაფრთხოების სამსახურიც უკიდურესად პოლიტიზირებული უწყებაა და მისი ჭარბი ძალაუფლების ფონზე, განსაკუთრებულ პრობლემას უქმნის ქვეყანაში პოლიტიკურ სტაბილურობას.

ჩამოთვლილ პრობლემებს არაერთი გამომწვევი მიზეზი აქვს, იქნება ეს ქვეყანაში არსებული ზოგადი პოლიტიკური კონტექსტი, უწყებების ინსტიტუციური მოწყობა და ა.შ. პრობლემების გამომწვევი ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი, ცხადია, ხარვეზიანი კანონმდებლობაა, რომელიც კვლავაც ტოვებს ინსტიტუციების პოლიტიზირების თუ ადამიანის უფლებების დარღვევის რისკებს.

მიუხედავად იმისა, რომ გასული ოთხი წლის განმვლობაში ზემოაღნიშნული პრობლემები სხვადასხვა დროს აქტიური საზოგადოებრივი და პოლიტიკური დისკუსიის საგანი იყო, მე-9 მოწვევის პარლამენტმა ისე დაასრულა საქმიანობა, რომ მართლმსაჯულების სფეროში არსებული ფუნდამენტური გამოწვევები, დიდწილად მოუგვარებელი დარჩა. კერძოდ, გასული ოთხი წლის მანძილზე საკანონმდებლო ორგანომ ვერ აღმოფხვრა სასამართლო სისტემიდან კლანური მმართველობა; ვერ შექმნა იმგვარი საკანონმდებლო ჩარჩო, რომელიც უზრუნველყოფდა პოლიციის და პროკურატურის პოლიტიკურ ნეიტრალიტეტს; პარლამენტმა არსებითად ვერ შეცვალა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების პოლიტიკაში, მათ შორის შენარჩუნდა დასჯაზე ორიენტირებული ნარკოპოლიტიკა; პრობლემად დარჩა უკონტროლო და ჭარბი ძალაუფლებით აღჭურვილი უსაფრთხოების სამსახური.

წარმოდგენილ დოკუმენტში გაანალიზებულია პარლამენტის მუშაობა უშუალოდ კანონშემოქმედებითი საქმიანობის მიმართულებით. კერძოდ, რა საკანონმდებლო ცვლილებები განხორციელდა გასულ ოთხ წელიწადში, რათა მართლმსაჯულებაში არსებული ფუნდამენტური პრობლემები მოგვარებულიყო. დოკუმენტში ნათლად იკვეთება, რომ ჩამოთვლილი პრობლემები ან სრულებით იგნორირებული იყო საკანონმდებლო ორგანოს მიერ, ანდაც უკიდურესად ფრაგმენტულად იყო დანახული. შედეგად, გამოწვევები რომელიც არც თუ ახალია ქართული კონტექსტისთვის და ბოლო ათწლეულების განმავლობაში სხვადასხვა ინტენსივობით იჩენდა ხოლმე თავს, კვლავაც მოუგვარებელი რჩება.

სასამართლო სისტემა

2016-2020 წლებში სასამართლო სისტემის რეფორმა ერთ-ერთი აქტუალური საკითხი იყო კანონშემოქმედებითი თვალსაზრისით. ამ პერიოდში, პარლამენტმა მიიღო მართლმსაჯულების სისტემის ე.წ. მე-3 და მე-4 ტალღის რეფორმები, რის შედეგადაც საკითხების საკმაოდ ფართო სპექტრი ახლებურად მოწესრიგდა.

რეფორმის **„მესამე ტალღის“** შედეგად,[1] იუსტიციის უმაღლეს საბჭოში დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური შეიქმნა, რომელსაც მიენიჭა მოსამართლეების მიმართ დისციპლინური საქმისწარმოების უფლებამოსილება. ცვლილებებით ასევე მეტი გარანტია შეიქმნა დისციპლინირების გამჭვირვალობისთვის. სამწუხაროდ, ინსპექტორის შერჩევის პროცედურები ხარვეზიანია და არ უზრუნველყოფს დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი კანდიდატის შერჩევას ამ თანამდებობაზე.[2] ასევე, კანონმდებლობის და პრაქტიკის დონეზე კვლავაც რჩება გამოწვევები, რაც ინდივიდუალურ მოსამართლეებს

[1] მართლმსაჯულების სისტემის „რეფორმის მე-3 ტალღა“ საქართველოს პარლამენტმა 2017 წლის 8 თებერვალს დაამტკიცა.

[2] იხ „კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის“ 2020 წლის 20 იანვრის განცხადება დამოუკიდებელი ინსპექტორის შერჩევის პროცესზე: https://bit.ly/3m6LSmV (წვდომის თარიღ: 21.10.2020).

მოწყვლადს ხდის შერჩევითი და მიკერძოებული დისციპლინური სამართალწარმოების მიმართ.[3]

„მესამე ტალღის“ რეფორმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სიახლე იყო მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევის კრიტერიუმებისა საკანონმდებლო დონეზე განსაზღვრა. კანონით განისაზღვრა კანდიდატთა მიერ საბჭოსთვის წარსადგენი ინფორმაციის მოძიების, გაცნობისა და კანდიდატთან გასაუბრების პროცედურები. „მესამე ტალღის“ ფარგელბში ასევე განისაზღვრა მოსამართლედ განმწესების თაობაზე მიღებული უარყოფითი გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობა უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატაში.[4] მიუხედავად ამისა, მართლმსაჯულების სისტემის „მესამე ტალღის“ რეფორმამ ვერ უზრუნველყო მოსამართლეობის კანდიდატთა კონკურსის გამჭვირვალობა და სამართლიანობა, რადგან საბოლოო გადაწყვეტილებების მიღების ბერკეტები კვლავაც შეუნარჩუნდა სასამართლო სისტემაში მოქმედ მოსამართლეთა გავლენიან ჯგუფს, რომელსაც ბუნდოვანი პროცედურით და არასაკმარისი დასაბუთებით შეუძლია კონკრეტული კანდიდატის შერჩევა/დანიშვნის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება.[5]

„მესამე ტალღის“ ფარგლებში დაინერგა საერთო სასამართლოებში საქმეთა შემთხვევითი განაწილების ელექტრონული სისტემა; აგრეთვე დადგინდა ღია სასამართლო სხდომაზე მიღებული საბოლოო გადაწყვეტილების საჯაროდ გამოქვეყნების ვალდებულება. ორივე სიახლე მნიშვნელოვანი გარანტია უნდა ყოფილიყო სასამართლოს საქმიანობის გამჭვირვალობისა და მის მიმართ საზოგადოებრივი ნდობის გაზრდისთვის. სამწუხაროდ, საქმეთა განაწილების ელექტრონული სისტემა დღემდე მნიშვნელოვანი ხარვეზებით მუშაობს და მასში არამართლზომიერი ინტერვენციის შესაძლებლობა არაერთი მიმართულებით არსებობს.[6] აგრეთვე არათანმიმდევრულად ქვეყნდება სასამართო გადაწყვეტილებები.[7] აღსანიშნავია, რომ 2019 წელს საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება,[8] რომლითაც არაკონსტიტუციურად ცნო ღია სხომაზე მიღებული სასამართლო აქტების გასაჯაროებაზე უარი. საკონსტიტუციო სასამართლომ პარლამენტს 2020 წლის მაისამდე მისცა შესაბამის კანონმდებლობაში

---

[3] EMC, IDFI, "სასამართლო რეფორმის შედეგების შეფასება - დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემა", 2019, გვ.8, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2IO69zn (წვდომის თარიღი: 21.10.2020).

[4] EMC, IDFI, სასამართლო სისტემის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მდგომარეობა (მეორე ჩრდილოვანი ანგარიში), 2020, გვ. 29. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2Tbh4oM (წვდომის თარიღი: 21.10.2020).

[5] იქვე, გვ. 30.

[6] EMC, საქმეთა განაწილების ელექტრონული სისტემა სასამართლოში, 2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/37wS8jV (წვდომის თარიღი: 21.10.2020).

[7] EMC, IDFI, სასამართლო სისტემის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მდგომარეობა (მეორე ჩრდილოვანი ანგარიში), 2020, გვ. 88. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2Tbh4oM (წვდომის თარიღი: 21.10.2020).

[8] იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილება N1/4/693,857 საქმეზე „ა(ა)იპ „მედიის განვითარების ფონდი“ და ა(ა)იპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.“

ცვლილებების განსახორციელებლად, თუმცა მე-9 მოწვევის პარლამენტმა მუშაობა ისე დაასრულა, რომ ამ საკითხზე კონკრეტული ნაბიჯები არ გადაუდგამს.

მართლმსაჯულების რეფორმის **„მეოთხე ტალღის“** ერთ-ერთი მთავარი მიზანი იუსტიციის უმაღლესი სკოლის ფუნქციური ავტონომიის უზრუნველყოფა იყო, რათა მოსამართლეობის მსმენელთა მიღების პროცესში სკოლას მეტი დამოუკიდებლობა ჰქონოდა. ამის საბოლოო შედეგი კი საერთო სასამართლოებში მეტი პროფესინალი კადრის შესვლა და მართლმსაჯულების სისტემის ახალი კადრებით გაჯანსაღება უნდა ყოფილიყო. სამწუხაროდ, „მეოთხე ტალღის“ რეფორმის შემდეგაც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გავლენები შენარჩუნდა სკოლაზე და მსმენელების შერჩევის პროცესი კვლავაც გაუმჭვირვალედ მიმდინარეობს.[9]

„მეოთხე ტალღის“ ფარგლებში ასევე დაკონკრეტდა მოსამართლეთა დისციპლინური გადაცდომების სახეები და მათი ჩამონათვალი ამომწურავად განისაზღვრა. აგრეთვე ახლებურად ჩამოყალიბდა დამოუკიდებელი ინსპექტორის თანამდებობიდან გათავისუფლების წესი და ამ საკითხზე გადაწყვეტილებას იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრთა ნახევარის ნაცვლად, ორი მესამედი იღებს.[10] სამწუხაროდ, ამ ცვლილებებითაც არსებითად ვერ გაუმჯობესდა მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემა, რადგან ინსპექტორის შერჩევა/დანიშვნის წესები კვლავაც გაუმართავია, ხოლო დისციპლინური საქმისწარმოება პრაქტიკაში არსებითი ხარვეზებით მიმდინარეობს.[11]

სასამართლო სისტემის „მეოთხე ტალღით“ ახლებურად ჩამოყალიბდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დაკომპლექტების წესი და სავალდებულო გახდა, რომ მის შემადგენლობაში მინიმუმ ერთი მოსამართლე მაინც იყოს ყველა ინსტანციის სასამართლოდან. ეს ცვლილებაც მეტად ფრაგმენტულია და ვერ შეცვალა საბჭოში არსებული ძალთა ბალანსი. განსაკუთრებული პრობლემაა ისიც, რომ კვლავაც შესაძლებელია საბჭოს წევრს იმავდროულად ეკავოს სხვა ადმინისტრაციული თანამდებობა (მაგალითად, სასამართლოს თავმჯდომარის პოსტი), რაც იწვევს კონკრეტული გავლენიანი მოსამართლეების ხელში დაუბალანსებელი ძალაუფლების კონცენტრაციას.[12]

---

[9] საია, EMC, გაერთიანებული წარდგინება 2020 წლის ადამიანის უფლებათა საბჭოს პერიოდული მიმოხილვისთვის, მართლმსაჯულებისა და სამართალდამცავი სისტემის გამოწვევებთან დაკავშირებით, 2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3jlQZ0X (წვდომის თარიღი: 21.10.2020)

[10] EMC, IDFI, სასამართლო სისტემის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მდგომარეობა (მეორე ჩრდილოვანი ანგარიში), 2020, გვ. 55. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2Tbh4oM (წვდომის თარიღი: 21.10.2020).

[11] EMC, IDFI, “სასამართლო რეფორმის შედეგების შეფასება - დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემა”, 2019, გვ.8, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2IO69zn (წვდომის თარიღი: 21.10.2020).

[12] EMC, IDFI, სასამართლო სისტემის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მდგომარეობა (მეორე ჩრდილოვანი ანგარიში), 2020, გვ. 44. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2Tbh4oM (წვდომის თარიღი: 21.10.2020).

სასამართლო სისტემის რეფორმის მნიშვნელოვანი ეტაპი იყო **2017 წლის კონსტიტუციური ცვლილებები,** რომლითაც დადგინდა მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ დანიშვნის ზოგადი წესი. უვადოდ დანიშვნა გავრცელდა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებზეც და გაუქმდა მოსამართლეთა გამოსაცდელი ვადა. თუმცა, კანონმდებლობა ითვალისწინებს აღნიშნული წესიდან გამონაკლისს და 2024 წლამდე კვლავაც შესაძლებელია, სამოსამართლო გამოცდილების არმქონე პირი 3 წლიანი გამოსაცდელი ვადით დაინიშნოს მოსამართლედ.[13]

მოსამართლეთა დანიშვნის საკითხს რეფორმის „მეოთხე ტალღაც" შეეხო, რომლითაც იუსტიციის უმაღლეს საბჭოს განესაზღვრა მოსამართლის დანიშვნის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებების დასაბუთების ვალდებულება.[14] მიუხედავად ამისა, მოსამართლეთა შერჩევა/დანიშვნის პროცესი კვლავაც ხარვეზიანია და საკადრო საკითხებზე არსებით გავლენას ინარჩუნებს სასამართლო სისტემაში არსებული გავლენიანი ჯგუფი.

სასამართლოს თემატიკაზე მე-9 მოწვევის პარლამენტში ბოლო საკანონმდებლო ცვლილება უზენაეს სასამართლოში მოსამართლეთა შერჩევა/დანიშვნის პროცესს შეეხებოდა.[15] აღნიშნული ცვლილებების დეკლარირებული მიზანი უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა კონკურსის პროცესში, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის გამჭვირვალობისა და მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრების პროცედურის გაუმჯობესება იყო. ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების მოწოდებების შემდეგ, პარლამენტმა კანონპროექტი ვენეციის კომისიას გაუზიარა შეფასებისთვის. თუმცა, პარლამენტმა კანონპროექტი დაჩქარებულად მიიღო, ისე, რომ ვენეციის კომისიის მოსაზრებებს არ დაელოდა. საბოლოოდ, აღნიშნული კანონპროექტი ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ[16] კრიტიკულად შეფასდა და აღინიშნა, რომ ცვლილებები არსებითად ვერ აგვარებს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევის პროცესში არსებული ხარვეზებს.

პროკურატურა

2017 წლის კონსტიტუციური რეფორმით მნიშვნელოვნად შეიცვალა პროკურატურის სტატუსი, აგრეთვე უფლებამოსილების და საქმიანობის განმსაზღვრელი კონსტიტუციური ჩარჩო. რეფორმის შედეგად, აქცენტი გაკეთდა პროკურატურაში კოლეგიური ორგანოს - საპროკურორო საბჭოს - როლის გაძლიერებაზე, აგრეთვე

---

[13] EMC, IDFI, სასამართლო სისტემის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მდგომარეობა (მეორე ჩრდილოვანი ანგარიში), 2020, გვ. 31. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2Tbh4oM (წვდომის თარიღი: 21.10.2020).

[14] იქვე. 31

[15] იხ. „კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის" განცხადება, 08 სექტემბერი, 2020. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3dSze8u (წვდომის თარიღი: 21.10.2020).

[16] European Commission for Democracy Through Law (Venice Commission), Opinion on the draft organic law amending The Organic Law on Common Courts, Strasbourg, 8 October 2020, Opinion No. 1001/2020, CDL-AD(2020)021-e, ევროპის საბჭოს ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/34HKVKH (წვდომის თარითი: 21.10.2020).

პროკურატურის სისტემა პრაქტიკულად სრულად დაშორდა სამთავრობო კაბინეტს და კონკრეტული პოლიტიკური ფიგურების ზედამხედველობის სფეროებს და ჩამოყალიბდა დამოუკიდებელ ინსტიტუტად.[17]

კონსტიტუციური რეფორმის ლოგიკური გაგრძელება იყო 2018 წელს „პროკურატურის შესახებ" ორგანული კანონის მიღება,[18] რომლითაც ახალი კონსტიტუციური ჩარჩოს შესაბამისი საკანონმდებლო ბაზით უნდა მოწესრიგებულიყო ორგანოს მოწყობა და საქმიანობა. სამწუხაროდ, კანონმა არსებითად ვერ აღმოფხვრა პროკურატურის სისტემაში არსებული ისეთი გამოწვევები, როგორიცაა უწყების პოლიტიზირება, გენერალური პროკურორის დაუბალანსებელი ძალაუფლება, ინდივიდუალური პროკურორების სათანადო ფუნქციური დამოუკიდებლობა და ა.შ.

ახალი კანონით, არ გაუმჯობესდა გენერალური პროკურორის შერჩევა/დანიშვნის წესი და ამ საკითხზე კვლავაც მმართველი პოლიტიკური გუნდი იღებს გადაწყვეტილებას, რა დროსაც არაა აუცილებელი პოლიტიკური კონსენსუსი, ან პროფესიული კრიტერიუმებით კანდიდატის მხარდაჭერის დასაბუთება. ფაქტობრივად უცვლელი დარჩა საპროკურორო საბჭოს დაკომპლექტების წესი, მის შემადგენლობაში კვლავაც შედიან პოლიტიკოსები, რაც ზრდის საბჭოს პოლიტიზირების რისკებს. პრობლემურია ისიც, რომ საპროკურორო საბჭოს პროკურორი წევრობის კანდიდატებს 30 წევრიანი საინიციატივო ჯგუფი წარადგენს, რაც ასევე ზრდის შიდა-კლანურობის რისკებს პროკურატურის სისტემაში. ორგანულმა კანონმა არსებითად არ გაზარდა საპროკურორო საბჭოს კომპეტენცია და დღეის მდგომარეობით, საბჭო მოკლებულია შესაძლებლობას, ეფექტიანად შეასრულოს კონსტიტუციით მასზე დაკისრებული ფუნქცია.[19]

მიუხედავად პარლამენტის ღია დაპირებისა, რომ ორგანული კანონის მიღების შემდეგ, პროკურატურის სისტემის რეფორმის საკითხი კვლავ დაბრუნდებოდა პოლიტიკურ დღის წესრიგში უფრო დუნდამენტური ცვლილებებისთვის, 2018 წლის შემდეგ საკანონმდებლო ორგანოს მსჯელობაც კი არ განუახლებია პროკურატურის რეფორმაზე. გასული ორი წლის მანძილზე მმართველი პარტიიდან საკმარისი პოლიტიკური მზაობა არ ყოფილა ამ საკითხზე საკანონმდებლო მუშაობის განახლებასა და პროკურატურის რეალურ რეფორმაზე.

ნარკოპოლიტიკა

2016-2020 წლებში ნარკოპოლიტიკის რეფორის საკითხი არაერთხელ დაისვა პარლამენტის დღის წესრიგში. 2017 წლის საგაზაფხულო სესიის მიწურულს, მმართველი

---

[17] EMC, პროკურატურის სისტემის რეფორმა (საკონსტიტუციო ცვლილებებთან კანონმდებლობის ჰარმონიზაცია), 2008, გვ. 7. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3jquurv (წვდომის თარიღი: 21.10.2020).
[18] საქართველოს ორგანული კანონი პროკურატურის შესახებ, 30.11.2018. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3mfHqlW (წვდომის თარიღი: 21.10.2020).
[19] იხ. ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC) მოსაზრებები "პროკურატურის შესახებ" ორგანული კანონის პროექტთან დაკავშირებით, 26.11.2018, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/37BvjvE (წვდომის თარიღი: 21.10.2020).

პარტიის ოთხმა დეპუტატმა დააინიცირა კანონპროექტი,[20] რომელიც ნარკოპოლიტიკის სისტემურ და ფუნდამენტურ რეფორმას გულისხმობდა და რომელსაც მხარს უჭერდა სამოქალაქო ორგანიზაციების, აქტივისტური ჯგუფების თუ დარგის ექსპერტების ფართო გაერთიანება.[21]

სამწუხაროდ, პოლიტიკური ნების არარსებობის გამო, აღნიშნული კანონპროექტის განხილვა პარლამენტში პირველი მოსმენის ეტაპზე შეჩერდა. ამის ნაცვლად, საკანონმდებლო ორგანოს ფაქტობრივად რეაქციულ რეჟიმში უწევდა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესაბამის კანონმდებლობაში ასახვა. გასული ოთხი წლის მანძილზე საკონსტიტუციო სასამართლომ არაერთი უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება მიიღო ნარკოპოლიტიკის საკითხებზე, თუმცა, ამ გადაწყვეტილებების მხოლოდ მცირე ნაწილია დღეს კანონმდებლობაში ასახული. კერძოდ, 2017 წლის 26 ივლისის კანონით[22] გაუქმდა „მარიხუანას" 70 გრამამდე ოდნობით ფლობასა და მის მოხმარებაზე საპატიმრო სასჯელი; ხოლო 2018 წლის კანონით,[23] საერთოდ გაუქმდა „მარიხუანას" მოხმარებაზე როგორც სისლიხსსამართლებრივი, ისე ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა. ამავდროულად, პარლამენტის მიერ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსასრულებლად მიღებული ცვლილებებიც უკიდურესად ვიწრო ფოკუსის იყო და მხოლოდ ტექნიკურად ითვალისწინებდა კონკრეტულ გადაწყვეტილებაში მოცემულ მსჯელობას. საკანონმდებლო ორგანოს არც ერთი ნაბიჯით საკუთარი ინიციატივა დამატებითი თანმდევი საკითხების რეგულირებაზე არ გამოუხატავს. მათ შორის, მარიხუანის მოხმარებაზე ყველანაირი პასუხიმსგებლობის გაუქმების შემდეგ, შემუშავებულ კანონპროექტში არ უმსჯელია მარიხუანის პირადი მოხმარების მიზნით ფლობის საკითხზე.

გასულ ოთხ წელიწადში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები მიიღო ნარკოტიკის შემცველი მცენარის მოყვანა-დათესვაზე,[24] შპრიცში დარჩენილი ნარკოტიკულ საშუალება „დეზომორფინის" კვალის გამო არსებული მკაცრი სასჯელის არაკონსტიტუციურობაზე,[25] აგრეთვე ისეთი ნარკოტიკული საშუალების მოხმარებისთვის საპატიმრო სასჯელის არაკონსტიტუციურობაზე, რომლის

---

[20]იხ. კანონპროექტი და დაკავშირებული მასალა: https://bit.ly/37D5WcG (წვდომის თარიღი: 21.10.2020).

[21] იხ. ნარკოპოლიტიკსი ეროვნული პლატფორმის განცხადება: https://bit.ly/3olHJNR (წვდომის თარიღი: 21.10.2020).

[22] იხ. საქართველოს კანონი „სისხლის სამართლის კოდექსში" ცვლილების შეტანის შესახებ, 27.07.2017. ხელმიხაწვდომია: https://bit.ly/37xRB15 (წვდომის თარიღი: 21.10.2020).

[23] იხ. საქართველოს კანონის „სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ, 30.11.2018. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/31xVUpC (წვდომის თარიღი: 21.10.2020).

[24] იხ. საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 14 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები ჯამბულ გვიანიძე, დავით ხომერიკი და ლაშა გაგიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ."

[25] იხ. საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ლაშა ბახუტაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ."

მოხმარებაც არ იწვევს სწრაფ შეჩვევას ან/და აგრესიულ ქცევას;[26] სასამართლომ ასევე არაკონსტიტუციურად ცნო მოსახმარად უვარგისი ოდენობით ნებისმიერი ნარკოტიკული საშუალების ფლობისთვის საპატიმრო სასჯელის გამოყენება.[27]

სამწუხაროდ, არც ერთი ეს გადაწყვეტილება დღემდე არ არის ასახული შესაბამის საკანონმდებლო აქტებში, რაც ქმნის არათანმიმდევრული სასამართლო პრაქტიკის განვითარების რისკებს. რაც მთავარია, საქართველოს პარლამენტმა ამ პერიოდში ვერ უზრუნველყო ზრუნვაზე, ადამიანის მხარდაჭერაზე ორიენტირებული საკანონმდებლო ჩარჩოს შექმნა, სადაც აქცენტი არა დასჯაზე, არამედ პრევენციაზე, ნარკოტიკის მომხმარებელთა სოციალურ და სამედიცინო მხარდაჭერასა და ზიანის შემცირებაზე გაკეთდებოდა.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური და ფარული მიყურადება

2015 წელს შინაგან საქმეთა სამინისტროს რეფორმის შემდეგ, დამოუკიდებელი სამთავრობო უწყების სახით ჩამოყალიბდა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური (სუს). რეფორმის თავდაპირველი მიზნების მიუხედავად, სუს-ში კვლავაც შენარჩუნდა უკონტროლო ძალაუფლება, მაღალია მისი პოლიტიზირების საფრთხეები და უწყების ანგარიშვალდებულების მექანიზმები არსებითად სუსტია.[28]

სამწუხაროდ, მე-9 მოწვევის პარლამენტს აღნიშნული პრობლემების მოსაგვარებლად არავითარი ნაბიჯი არ გადაუდგამს. ერთადერთი მცირე გამონაკლისია პარლამენტის ახალი რეგლამენტი, რომლითაც გაიზარდა საპარლამენტო ნდობის ჯგუფის მანდატი.[29] სამწუხაროდ, აღნიშნული უწყება, მისი კომპეტენციიდან, დაკომპლექტების წესიდან და პოლიტიკური გავლენებიდან გამომდინარე,[30] კვლავაც ვერ უზრუნველყოფს სუს-ზე საკმარის საპარლამენტო კონტროლს. პრობლემას ამწვავებს ისიც, რომ საპარლამენტო უმრავლესობა უსაფრთხოების სამსახურის რეფორმის აუცილებლობას საერთოდ ვერ ხედავს და მისთვის უსაფრთხოების სამსახურის რეფორმა 2015 წელს დასრულდა.

მე-9 მოწვევის პარლამენტში ერთ-ერთი აქტუალური თემა ფარული მოსმენების საკითხი იყო. 2016 წელს საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად მიიჩნია ფარული მოსმენის და მიყურადების მანამდე არსებული რეგულაცია, რადგან ფარული თვალთვალისთვის საჭირო ტექნიკური შესაძლებლობები თავს იყრიდა ისეთ უწყებაში (სუს-ში), რომელსაც პროფესიული დაინტერესება აქვს, რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია

---

[26] იხ. საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 2 აგვისტოს გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ."

[27] იხ. საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 4 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე „ნოე კორსავა და გიორგი გამგებელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ."

[28] იხ. EMC, TI, DCAF, OSGF, უსაფრთხოების სამსახურის რეფორმა საქართველოში - შედეგები და გამოწვევები, 2018. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/31zI5qB (წვდომის თარიღი: 21.10.2020).

[29] იხ. საქართველოს პარლამენტის რგლამენტი, მუხლი 159.

[30] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, საპარლამენტო კონტროლი კონსტიტუციისა და რეგლამენტის რეფორმის შემდეგ, 2020, გვ. 60-63, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/37y5Enl (წვდომის თარიღი: 21.10.2020).

მოიძიოს გამოძიების მიზნებისთვის.[31] ამ საკითხის ახლებურად მოწესრიგების მიზნით, სუს-ის შემადგენლობაში შეიქმნა ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო, რომელსაც მიენიჭა ფარული მოსმენის/მიყურადების და სხვა ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების შესაძლებლობა.[32] თუმცა, პირად ცხოვრებაში უკანონო/არამართლზომიერი ჩარევის რისკებს ვერც არსებული მოწესრიგება აზღვევს, რადგან სააგენტო კვლავაც სუს-ის შემადგენლობაშია და მისი ფუნქციური დამოუკიდებლობა მყიფეა. აგრეთვე არასაკმარისია ფარული მიყურადების საქმიანობაზე გარე კონტროლის მექანიზმები.[33]

გამოწვევას წარმოადგენს კონტრდაზვერვითი საქმიანობაც, რომლის ფარგლებშიც უსაფრთხოების სამსახურებს ფაქტობრივად უკონტროლოდ, ყველანაირი გარე მეთვალყურეობის გარეშე შეუძლიათ იმგვარი საქმიანობის წარმოება, რასაც თან ახლავს ადამიანის პირად ცხოვრებაში მაღალი ინტენსივობით ჩარევა.[34] აღნიშნული საკითხი მე-9 მოწვევის პარლამენტში აბსოლუტურად იგნორირებული იყო.

პოლიცია, საგამოძიებო სისტემა და ძალის გადამეტება

საგამოძიებო სისტემა ფუნდამენტურ რეფორმას საჭიროებს, რადგან დღეს გამოძიების პროცესზე ძლიერი გავლენა აქვს პროკურორს და გამომძიებელი ვერც ერთ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებაზე ვერ იღებს დამოუკიდებლად გადაწყვეტილებას, ამით კი ეჭვქვეშ დგება გამოძიების ყოველმხრივობა და ობიექტურობა.[35] ამ საკითხზე გასულ წელს შინაგან საქმეთა სამინისტროში დაიწყო რეფორმის კონცეფციაზე მუშაობა, თუმცა კონკრეტული კანონპროექტი პარლამენტში არ შესულა და შესაბამისად, პრობლემა კვლავაც მოუგვარებელია.

ქვეყანაში პრობლემურია საპოლიციო საქმიანობასთან დაკავშირებული არაერთი საკითხი. მაგალითად, ადამიანის უფლებების დისპროპორციული ჩარევის რისკებს აჩენს

---

[31] იხ. საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები - გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯაია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინქლაძე, გიორგი ჩიტიძე, ლაშა ტუღუში, ზვიად ქორიძე, ააიპ „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო“, ააიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, ააიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, ააიპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ და ააიპ „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.“

[32] საქართველოს კანონი „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს“ შესახებ, 22.03.2017.

[33] იხ. კამპანია „ეს შენ გეხება“ განცხადება ფარულ საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებით წარმოდგენილ ინიციატივაზე, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/35qkIRj (წვდომის თარიღი: 21.10.2020).

[34] EMC, უხილავი ძალაუფლების პოლიტიკა, 2015, გვ. 32. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3dOVsIo (წვდომის თარიღი: 21.10.2020).

[35] EMC, საგამოძიებო სისტემის ანალიზი, 2018, გვ. 51. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2J1aWOb (წვდომის თარიღი: 21.10.2020).

ე.წ. რეიდი (იგივე სპეციალური საპოლიციო კონტროლი),[36] რომელიც მოქალაქეთა განუსაზღვრე წრეზე შეიძლება გავრცელდეს და მის ფარგლებში ნებისმიერი პირი დაექვემდებაროს საპოლიციო კონტროლს. გარდა ამისა, განსაკუთრებით პრობლემურია ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის მარეგულირებელი კანონი, რომელიც პოლიციის ფარულ საქმიანობას კონტროლს მიღმა ტოვებს და ზრდის მოქალაქეთა უფლებებში უსაფუძვლო, თვითნებური ჩარევის რისკებს. სამწუხაროდ, არც ერთი ზემოაღნიშნული მიმართულებით მე-9 მოწვევის პარლამენტში არანაირი საკანონმდებლო ინიციატივა არ ყოფილა წარდგენილი.

აგრეთვე რეფორმებს მიღმა დარჩა მოძველებული ადმინისტრაციულ-სამართალდარღვევათა კოდექსი, რომელიც მინიმალურ დაცვის გარანტიებსაც ვერ სთავაზობს მოქალაქეებს და სამართალდამცავ უწყებებს აძლევს შესაძლებლობას, თვითნებურად და დაუსაბუთებლად დააკისრონ მოქალაქეებს ადმინისტრაციული სახდელი, მათ შორის დიდი ოდენობით ჯარიმა, ან სულაც პატიმრობა.[37]

რაც შეეხება სამართალდამცავთა მხრიდან ძალის გადამეტებას, ეს წლების განმავლობაში ერთ-ერთი უმწვავესი გამოწვევა იყო ქვეყანაში. ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების არაერთი მოწოდების შემდეგ, 2018 წლის საგაზაფხულო სესიაზე საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი,[38] რომლის საფუძველზეც, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს მიეცა უფლებამოსილება, აწარმოოს გამოძიება სამართალდამცავთა მხრიდან ჩადენილ კონკრეტულ დანაშაულებზე. სამწუხაროდ, კანონის ამოქმედება რამდენჯერმე გადაიდო და მხოლოდ 2019 წლის ნოემბრიდან მიენიჭა ახლადშექმნილ უწყებას დაქვემდებარებული სამქების გამოძიების უფლებამოსილება. ამის გამო, სახელმწიფო ინსპექტორის გამოძიების მიღმა დარჩა ისეთი მნიშვნელოვანი საქმეები, როგორიცაა 20-21 ივნისის მოვლენები, ხორავას ქუჩის საქმე და სხვ.

მთლიანობაში, აღნიშნული რეფორმა მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იყო სამართალდამცავთა მხრიდან ძალის გადამეტების პრობლემასთან ბრძოლისთვის, თუმცა, უნდა გასათვალისწინებელია, რომ ინსპექტორის სამსახურს აქვს შეზღუდული მანდატი და დანაშაულთა არასაკმარის წრეზე შეუძლია გამოძიების წარმოება; პრობლემაა ისიც, რომ გამოძიების პროცესში, მნიშვნელოვან საგამოძიებო ღონისძიებებზე გადაწყვეტილებას სამსახური ვერ იღებს პროკურატურის გარეშე, რაც მის ფუნქციურ დამოუკიდებლობას კრიტიკულად ამცირებს.[39]

---

[36] EMC, დანაშაულის პრევენცია (საპოლიციო კონტროლის რისკები), 2017, გვ. 28. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2IZxyi2 (წვდომის თარიღი: 21.10.2020).
[37] საია, EMC, ალტერნატიული ანგარიში სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა პაქტის შესრულების შესახებ, 2020, გვ. 8. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3dYREnV (წვდომის თარიღი: 21.10.2020).
[38] საქართველოს კანონი „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის" შესახებ.
[39] იხ. კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის შეფასება: https://bit.ly/2J0ZHVW (წვდომის თარიღი: 21.10.2020).

სისხლის სამართლის კანონმდებლობა და პოლიტიკა

სისხლის სამართლის მართლმსაჯულების რეფორმირების საკითხზე 2012 წლიდან არაერთ ფორმატში მიმდინარეობდა მუშაობა. უკვე რამდენიმე წელია, უწყებათაშორისი თანამშრომლობის საფუძველზე მომზადებულია სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების პროექტი,[40] რომლის შექმნის პროცესშიც ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციები, აკადემიის და პროფესიული წრეების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. სამწუხაროდ, აღნიშნული კანონპროექტზე მე-9 მოწვევის პარლამენტში არც კი დაწყებულა მსჯელობა. შესაბამისად, სისხლის სამართლის კოდექსში არსებული არაერთი გამოწვევა, მათ შორის, უსამართლოდ მკაცრი სასჯელები, ბუნდოვანი საკანონმდებლო ფორმულირებები და მოსამართლის არასაკმარისი როლი სასჯელის განსაზღვრის დროს, კვლავაც გამოწვევას წარმოადგენს.

მე-9 მოწვევის პარლამენტისთვის აგრეთვე არ იყო პრიორიტეტი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის შემდგომი დახვეწა. დღემდე მოუგვარებელია ირიბი მტკიცებულებების პრობლემა, მაშინ როცა ამ საკითხზე ჯერ კიდევ 2015 წლის დასაწყისში მიიღო საკონსტიტუციო სასამართლომ გადაწყვეტილება,[41] რომლითაც არაკონსტიტუციურად ცნო ირიბი მტკიცებულების საფუძველზე პირის მიმართ ბრალდების დადგენილების, ან გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა. საპროცესო კანონმდებლობით დღემდე ხარვეზიანად არის მოწესრიგებული მოწმის დაკითხვის წესი, ასევე დაცვის მხარეს შეზღუდული აქვს რიგი საგამოძიებო/საპროცესო მოქმედებების განხორციელების შესაძლებლობა.[42] ყოველივე ეს კი წინააღმდეგობაში მოდის მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპთან და არსებითად ართულებს დაცვის მხარისთვის საკუთარი პოზიციების მტკიცებას სასამართლოში.

რაც შეეხება სისხლის სამართლის პოლიტიკას, 2017 წლის კონსტიტუციური რეფორმის შემდეგ, „პროკურატურის შესახებ“ ორგანულ კანონში გაკეთდა ჩანაწერი,[43] რომლითაც სისხლის სამართლის პოლიტიკის განსაზღვრის უფლებამოსილება საქართველოს პარლამენტს მიენიჭა. მიუხედავად იმისა, რომ ამ საკითხზე სამუშაოდ საკანონმდებლო ორგანოს 3 წელი ჰქონდა, დღემდე არაა შემუშავებული სისხლის სამართლის პოლიტიკა, რაც ნათლად მიუთითებს სახელმწიფოს და კონკრეტულად პარლამენტის დამოკიდებულებაზე აღნიშნული საკითხის მიმართ.

შეჯამება

[40] იხ. 2014 წელს მომზადებული საქართველოს კანონის პროექტი „სისხლის სამართლის კოდექსში“ ცვლილების შეტანის თაობაზე. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3kpurgV (წვდომის თარიღი: 21.10.2020).

[41] იხ. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

[42] გ. იმნაძე, 10 წელის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიღებიდან - ძირითადი მიზნები და გამოწვევები, 2019, 7. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2HsPT6F (წვდომის თარიღი: 21.10.2020).

[43] „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, მუხლი 28.

მართლმსაჯულების სისტემაში არსებული ფუნდამენტური პრობლემების მოგვარება მე-9 მოწვევის პარლამენტისთვის არ იყო პრიორიტეტული საკითხი. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოში, სამართალდამცავ ორგანოებსა და უსაფრთხოების სექტორში არსებული გამოწვევები მუდმივად იყო საზოგადოებრივი და პოლიტიკური დისკუსიის საგანი, პარლამენტში არ აღმოჩნდა საკმარისი პოლიტიკური ნება, ამ საკითხებზე წარმართულიყო საგნობრივი სამუშაო პროცესები, რომლის შედეგიც რეალური, შედეგზე ორიენტირებული რეფორმა იქნებოდა.

პოლიტიკური ნების არარსებობის ნიმუშია ნარკოპოლიტიკა - საკითხი, რომელზეც უპრეცედენტო საზოგადოებრივი კონსენსუსი არსებობდა, მაგრამ მმართველ პოლიტიკურ გუნდში ერთიანი პოზიციის არარსებობის გამო, ვერ გატარდა სისტემური რეფორმა. ამავდროულად, გასული ოთხი წლის განმავლობაში საპარლამენტო ცხოვრებაში ნაკლები აქცენტი კეთდებოდა სისხლის სამართლის მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობის სისტემურ რეფორმა, დანაშაულთან ბრძოლის პოლიტიკის განსაზღვრას, საგამოძიებო სისტემის და უსაფრთხოების სამსახურის რეფორმას.

საბოლოო ჯამში, მართლმსაჯულებასთან დაკავშირებული ისეთი მწვავე გამოწვევები, როგორიცაა პოლიციის და პროკურატურის პოლიტიზირება, სასამართლოში არსებული კლანური მმართველობა, რეპრესიული და უსამართლო ნარკოპოლიტიკა და უკონტროლო უსაფრთხოების სამსახური, კვლავაც მოუგვარებელი რჩება და თითოეული ეს პრობლემა ქმნის ადამიანის უფლებების დარღვევის სერიოზულ რისკებს. მიუხედავად იმისა, რომ ეს გამოწვევები ახალი არ არის ქართული კონტექსტისთვის და მათი აბსოლუტური უმრავლესობა ათწლეულებს ითვლის, მე-9 მოწვევის პარლამენტში არ აღმოჩნდა საკმარისი პოლიტიკური რესურსი ამ პრობლემების საფუძვლიანად და სიღრმისეულად მოსაგვარებლად.